საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო - ნეგატიური თუ პოზიტიური კანონმდებელი?

ნინო ჩოჩია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ქეთევან ერემაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ჩოჩია

12.02.2022

აბსტრაქტი

ნაშრომის ინსპირაციაა ვენესუელელი სამართლის პროფესორის, ალან ბრივერ კარიასის, მიერ შექმნილი წიგნი - „საკონსტიტუციო სასამართლოები, როგორც პოზიტიური კანონმდებლები“. წიგნში არაერთი სახელმწიფოს ეროვნული მოხსენება იყრის თავს, თუმცა, მათ შორის, არ არის გაზიარებული ქართული გამოცდილება. წარმოდგენილი ნაშრომი არის მცდელობა შეავსოს ეს ვაკუუმი და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე გამოკვეთოს ქართული კონსტიტუციური მართლმსაჯულებისათვის დამახასიათებელ ტენდენციებს. ნაშრომი ადასტურებს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის სამართალწარმოებაში დანერგვა არაერთი მექანიზმი, რომელთა წყალობითაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა კანონმდებლობის შინაარსობრივ ცვლილებაზე. ამდენად, სასამართლო იჭრება პოზიტიური კანონმდებლის - საკანონმდებლო ორგანოს, უფლებამოსილებაში. ამავე დროს, გამოიკვეთა ზოგიერთი შემთხვევა, როდესაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ შეცვალა პრაქტიკა და აირჩია ნეგატიური კანონმდებლის ფარგლებში დარჩენა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საკონსტიტუციო სასამართლო; კონსტიტუციური კონტროლი; პოზიტიური კანონმდებელი; ნეგატიური კანონმდებელი; პარლამენტი.

Abstract

The paper is inspired by the book "Constitutional Courts as Positive Legislators" by Allan R. Brewer-Carías, a Venezuelan law professor. The book contains numerous states' national reports, not the Georgian experience is among them though. The presented paper is an effort to fill this gap and, based on the analysis of the case law of the Constitutional Court of Georgia, it outlines the peculiarities of Georgian judicial review tendencies. The paper affirms that some of the legal proceeding mechanisms, established by the Constitutional Court of Georgia, triggered a number of substantial changes in the Constitution of Georgia as well as other legislation. Therefore, the court experiences the intrusion into the authority of the positive legislator – the legislative body. Meanwhile, in some cases, the Constitutional Court of Georgia has changed its case law and intentionally remained within the frames of the negative legislator.

Key Words: Constitutional Court; judicial review; positive legislator; negative legislator; parliament.